

**11. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკიდან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების უმოკლეს ვადაში გაყვანის შესახებ, 1993 წლის 1 ივნისი.**

საქართველოსპარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკიდან რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების უმოკლეს ვადაში გაყვანის შესახებ

იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიარაღებული ძალების შემოსვლა 1921 წელს კანონსაწინააღმდეგო მოქმედება იყო სუვერენული ქვეყნის მიმართ, რასაც შედეგად მოჰყვა რუსეთის მხრიდან საქართველოს სრული ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია, ხოლო შემდგომ საქართველოს ძალადობით ჩართვა საბჭოთა კავშირისშემდაგენლობაში, და რომ არც საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების, არც შემდგომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ყოფნას საქართველოს რესპუბლიკისტერიტორიაზე არა აქვს სხვა საფუძველი, გარდა კანონსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად შექმნილი ზემოხსენებული მდგომარეობის მექანიკური გაგრძელებისა, საქართველოსპარლამენტი ადგენს:

1. რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები გაიყვანონ საქართველოს მთელი ტერიტორიიდან უმოკლეს ვადაში; თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან საამისოდ საჭირომინიმალური ვადის განსაზღვრაზე, ეთხოვოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ექსპერტების მივლინება სადაო საკითხის გადასაწყვეტად.

2. რუსეთის შეიარაღებულიძალების ხელთ არსებული იარაღი და საჭურველი, ნაციონალიზირებული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით, ჩაბარება-მიღებისაქტით გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, რუსეთის მხარესთან კვოტების თაობაზე უთანხმოების შემთხვევაში ეთხოვოს გაერთიანებული ერებისორგანიზაციას მოავლინოს საქართველოში ექსპერტები რესპუბლიკისათვის გადასაცემი იარაღისა და საჭურველის კვოტების შესაბამისობის დასადგენად.

საქართველოს რესპუბლიკისათვის რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ხელთ არსებული ბაზებისა და იარაღის გადმოცემა დამთავრდეს 1994 წლის პირველკვარტალში. თუ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის დაიდო შეთანხმება რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალებისსაქართველოდან გასვლის შესახებ შესაბამისი გრაფიკით, ვადა გაგრძელდეს, მაგრამ არა უგვიანეს 1995 წლისა.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ სათანადო წარდგინება შეიტანოს რუსეთის ფედერაციის მთავრობაში რუსეთთან თვისობრივადახალი ურთიერთობის დამყარების პერსპექტივით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

**თბილისი, 1993 წლის 1 ივნისი**

**(საქართველოს პარლამენტის არქივი)**